ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘ | № 10 (12522) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲨᲖᲔ



ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲦᲣᲛᲔᲚᲨᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲑᲝᲑᲝᲥᲠᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲒᲐᲐᲠᲕᲒᲘᲝᲡ ᲪᲔᲪᲚᲒᲐᲛᲫᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲗ ᲜᲐᲒᲑᲘᲗ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲝᲡ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲓᲜᲝᲡ. ᲪᲔᲪᲮᲚᲗᲐᲜ ᲭᲘᲓᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲑᲠᲫᲛᲔᲓᲘᲚᲘ ᲕᲐᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡᲐᲪ ᲐᲮᲠᲘᲡᲔᲑᲔᲜ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠ�გᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲔᲑᲘ Გ. ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ) ᲓᲐ Უ. ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ.

ᲤᲝᲢᲝ Ш. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ — ᲐᲘ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲛᲬᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲬᲧᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲜᲐᲮᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ, ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲓ ᲣᲡᲐᲮᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲝᲜ, ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ, ᲑᲘᲚᲘᲡ, ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲛᲛᲐᲭᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐᲡᲓᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲬᲛᲔᲓᲘᲐ, ᲛᲔᲪᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ. ᲬᲘᲜ ᲮᲝᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲫᲚᲘᲔᲑᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲓ ᲣᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. ᲒᲝᲛᲣᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. Ნ. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲗ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲬᲛᲔᲓᲘᲐ ᲛᲔᲪᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ. ᲬᲘᲜ ᲮᲝᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲫᲚᲘᲔᲑᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲬᲛᲔᲓᲘᲐ ᲛᲔᲪᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲗ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲮᲚᲐᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲡᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲔᲗᲝᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲡᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ, ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲣᲚᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲙᲘᲠᲤᲝᲗ. ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲠᲝᲚᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐᲗ ᲮᲔᲚᲗ ᲐᲥᲕᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲕᲔᲤᲘᲥᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲔᲗᲝᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ, ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲣᲚᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲙᲘᲠᲤᲝᲗ. ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲠᲝᲚᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡᲐᲬᲧᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲜᲐᲮᲘ. ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲮᲚᲐᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲔᲗᲝᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ, ᲗᲕᲘᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔᲡ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲝᲡ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲓᲜᲝᲡ. ᲪᲔᲪᲮᲚᲗᲐᲜ ᲭᲘᲓᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲑᲠᲫᲛᲔᲓᲘᲚᲘ ᲕᲐᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲮᲠᲘᲡᲔᲑᲔᲜ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲔᲑᲘ Გ. ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ) ᲓᲐ Უ. ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ.

ᲤᲝᲢᲝ Ш. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲗᲒᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲗᲝᲔᲚᲔᲑᲘ. № 4 ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲣᲠᲐᲓ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲝᲕᲘᲡ ᲐᲗᲝᲗᲒᲘᲗ ᲢᲝᲜᲐ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲜᲘᲗ ᲘᲚᲘᲔᲑᲐ.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ. ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ 22 ᲪᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ 21 ᲪᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ. ᲣᲙᲐᲗᲔᲡᲘ ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ 21 ᲪᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ. ᲣᲙᲐᲗᲔᲡᲘ ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ 22 ᲪᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐᲡ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲐ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲝᲡ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲓᲜᲝᲡ. ᲪᲔᲪᲮᲚᲗᲐᲜ ᲭᲘᲓᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲑᲠᲫᲛᲔᲓᲘᲚᲘ ᲕᲐᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲮᲠᲘᲡᲔᲑᲔᲜ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡᲐᲪ ᲐᲮᲠᲘᲡᲔᲑᲔᲜ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲚᲣᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲡᲐᲓ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲠ ᲙᲚᲐᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲦᲒᲐ ᲨᲠᲐᲛᲐᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ. ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ 21 ᲪᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲐ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲐᲪᲘᲜᲔᲑᲓᲜᲐ ᲚᲐᲝᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲗᲐ ᲔᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ (ᲡᲐᲯᲔᲓᲚᲘ).

ᲛᲔᲪᲔᲛᲔᲜᲢᲔᲔᲑᲘ ᲣᲙᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ 4.285 ᲢᲝᲜᲐ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ, 917 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲘᲠᲛᲝᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲚᲐ ᲨᲘᲤᲔᲠᲘ, 140 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲐᲒᲣᲠᲘ ᲓᲐ 2.758 ᲙᲣᲑᲛᲔᲢᲠᲘ ᲑᲚᲝᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲠᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲘᲠᲑᲘᲗ 84 ᲢᲝᲜᲐ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ 123 ᲙᲣᲑᲛᲔᲢᲠᲘ ᲑᲚᲝᲙᲘ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲦᲒᲐ ᲨᲠᲐᲛᲐᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲒᲘᲗ ᲨᲔᲣᲦᲒᲐ ᲨᲠᲐᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲒᲘᲗ ᲨᲔᲣᲦᲒᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲡ. ᲠᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲜᲝ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ. ᲨᲔᲣᲦᲒᲐ ᲨᲠ

პარტიული ცხოვრება

სიუხვის გზით

ეს დღე სამუდამოდ დაამახსოვრდებათ კომუნისტ-დელეგატებს. ისინი შეიკრიბნენ ქალაქ მახარაძეში, საწარმოო სამმართველოს პირველ პარტიულ კონფერენციაზე, რომ საწყისი მისცენ ახალს — პარტიული ორგანიზაციის საწარმოო პრინციპით აგების საქმეს.

ახლა მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტორგანიზაცია აერთიანებს 7.200 კომუნისტს. კონფერენციაზე მოვიდა მათ მიერ არჩეული 500-ზე მეტი დელეგატი. ისინი ადრე ორ ცალ-ცალკე რაიონში შედიოდნენ. ახლა კი მათ აქვთ ერთი საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია. მართალია, მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ შარშან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებით გაერთიანდნენ ერთ საწარმოო სამმართველოში, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ სამეურნეო გაერთიანება იყო.

პირველ კონფერენციაზე სხვადასხვა ასაკისა და დარგის ადამიანები — მეჩაიეები, მეციტრუსეები, მესიმინდეები, მეაბრეშუმეები შეიკრიბნენ. აქ იყო ძველი რევოლუციონერი კ. ცინცაძე — პარტიის წევრი 1904 წლიდან, სოციალისტური შრომის გმირები ტ. ჩხაიძე, დ. ტაკიძე, ე. ჯიბუტი და სხვ. ისინი აქ ერთმა საერთო საქმემ მოიყვანა.

მახარაძის საწარმოო სამმართველო რესპუბლიკაში ერთ-ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ერთეულია. იგი აერთიანებს 66 კოლმეურნეობას და ექვს საბჭოთა მეურნეობას. მიწის საერთო ფართობი 150.998 ჰექტარია. აქედან 48.409 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია. მრავალწლიან ნარგავებს 17.572 ჰექტარი უჭირავს, ხოლო სახნავ-სათესს — 13.650 ჰექტარი. მახარაძის რაიონი რესპუბლიკას ჩაის ნედლეულის 25 პროცენტს აძლევს. ჩაის პლანტაცია აქ 10.707 ჰექტარზეა გადაჭიმული, ხოლო ციტრუსოვანთა ბაღები — 1.299 ჰექტარზე.

რაიონში არის ტენერიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი ჩაის ფაბრიკები და სხვა საწარმოები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას ამუშავებენ.

მახარაძის რაიონის მშრომელებს მართლაც აქვთ სათქმელი და საამაყო. ამის შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ვ. თოხაძემ.

მეჩაიეებმა შარშან წლიური გეგმა 111,7 პროცენტით შეასრულეს — მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 40.086 ტონა „მწვანე ოქრო“, საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღეს 4.042 კილოგრამი ჩაის ნედლეული. სახელმწიფოს მიეყიდა 6.538 ტონა ციტრუსები, 4.775 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღეს 23,8 ცენტნერი სიმინდი, გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები და სხვ.

ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში ნამდვილი შუქურები არიან ნატანების, ჩაისუბნების, შრომის, კონჭკათის, ძიმითის, ონჭიქედის, მახარაძის, ფარცხმის, ასკანის, განახლების, ბაბვის, შემოქმედის კოლმეურნეობები, ლაითურის, ნასაკირალისა და ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. სოფელ მახარაძის კოლმეურნეობამ ჰექტარზე 5.360 კილოგრამი ჩაის ფოთლი მიიღო, ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ კი — 4.876 კილოგრამი.

საბჭოთა ხალხი დიდ წარმატებებს აღწევს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში. ასეა მახარაძის საწარმოო სამმართველოშიც. მაგრამ როგორ არასასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ ამ მიღწევათა ფონზე ჩრდილებიც არის. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა კონფერენციას როდი დაუმალეს ის ნაკლოვანებები, რომლებიც მათს მუშაობაში იყო. პარტიულ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესუსტების, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის დაქვეითების შედეგად შუაგანახლების, ქვენობის, ბასილეთის, ერკეთის, კოხნარის, ზემო ხეთის, შუა და ზემო სურების, ხვეისა და ნაბეღლავის კოლმეურნეობებმა არათუ ვალდებულება, ჩაის ფოთლის კრეფის გეგმაც კი ვერ შეასრულეს.

ჩამორჩენა იმითაც იყო გამოწვეული, რომ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი დროულად არ ტარდებოდა, მოუგვარებელი იყო შრომის დამატებითი ანაზღაურების — წარმატების ამ ერთ-ერთი ბერკეტის საკითხი.

მახარაძის საწარმოო სამმართველო ჩამორჩება აგრეთვე საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. შარშან ნაცვლად 56.350 ცენტნერისა მიიღეს 41.228 ცენტნერი რძე. ჩამორჩენაა ხორცის წარმოების საქმეშიც. სამმართველომ მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები მოწინავე მეურნეობათა ხარჯზე შეასრულა. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ადგილებზე ნაკლებად ფიქრობენ საკვები ბაზის განმტკიცებაზე.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დელეგატებმა ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე სამუშაოთა მექანიზაციის განვითარებაზე, სოფლად განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურებაზე, ვაჭრობაზე და სხვა საკითხებზე, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთო წარმატებების მოპოვებასთან.

კონფერენციამ შეაჯამა გასული წლის სამეურნეო შედეგები. დელეგატებმა მოიწონეს 1963 წლისა და შვიდწლედის უკანასკნელი წლის გეგმები.

მიმდინარე წელს მახარაძელებმა გეგმით უნდა მოკრიფონ 37.605 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 5.678 ტონა ციტრუსები. სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს: 2.622 ტონა სიმინდი და 538 ტონა სოიის მარცვალი, 3.888 ტონა ხილი, 1.206 ტონა უურძენი, 7.087 ცენტნერი ხორცი, 21.039 ცენტნერი რძე, ერთი მილიონ 117 ათასი ცალი კვერცხი და სხვ.

კონფერენციის დელეგატებმა დაკვირვებულად, საქმეში ღრმად ჩახედვით განიხილეს მოხსენება, ილაპარაკეს შრომის შედეგებზე, მომავლის ნათელ პერსპექტივებზე.

ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შ. შოშიტაიშვილმა თქვა: ჩვენმა მეურნეობამ შარშან წარმატებას მიაღწია, მაგრამ წელს უფრო მეტისათვის ვიბრძვით. მუშაობაში ხელს გვიშლის ის, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს ტექნიკა მთაგორიან ადგილებში საქმუშაოდ. ეს აძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას. ვფიქრობ, ამ საკითხით დაინტერესდებიან ზემდგომი ორგანიზაციები და დაგვეხმარებიან.

საინტერესო საკითხები დააყენეს კონფერენციაზე გორაბერეულოსნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. დოლიძემ, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვ. ჭეიშვილმა, მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. მამალაძემ, ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. წითლიძემ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან სოფელ შრომის კოლმეურნეობის ნოვატორი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ჩხაიძე, ბახვის კოლმეურნეობის უხუცესი წევრი ნ. მამეშვილი, მახარაძის საწარმოო სამმართველოს უფროსი ვ. ჯაველი და სხვ.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მუშაობაში — მეც ვმონაწილეობდი, — ამბობს ვ. ჯაველი, — წარუშლელი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი მოსკოვიდან. ახლა ნოემბრის პლენუმის დადგენილება ხორცს ისხამს. ამის დადასტურებაა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია.

ვ. ჯაველმა გააკრიტიკა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობა. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა ბევრი სიახლე შეიმუშავეს, მაგრამ წარმოებაში მათი დანერგვისათვის ნაკლებად იწუხებენ თავს. საჭიროა ცხოვრებასთან ახლოს იყვნენ ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები, და წარმატებებიც მეტი იქნებაო.

დელეგატები აღფრთოვანებითა და მოწონებით შეხვდნენ ბახველი უხუცესი კოლმეურნე ქალის, ნ. ზაგლადას მიმდევრის ნ. მამეშვილის გამოსვლას. მან თქვა: მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების გაერთიანებით ძალები იზრდება. ერთად ვიშრომოთ ისე, როგორც ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას შეეფერება. შრომა ხომ აკეთილშობილებს ადამიანს, შრომა გვაძლევს ბედნიერებას. მოდით ერთად, ახლებურად შევუტოთ ახალ ზღუდეებს! — ამით მან კონფერენციის ყველა მონაწილის სულისკვეთება გამოხატა.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯაფარიძე. მან ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც მახარაძის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა წინაშე დგას და იმედი გამოთქვა, რომ, როგორც ყოველთვის, მახარაძელები კვლავაც მოწინავეთა რიგებში იქნებიან და საპატიო წვლილს შეიტანენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებაში.

კონფერენციამ მიიღო ვრცელი ღონისძიება, აირჩია პარტიული კომიტეტი 81 წევრისა და 27 კანდიდატის შემადგენლობით.

* * *

გაიმართა კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია ვ. თოხაძე, მოადგილეებად — ა. თოლიძე და რ. კვინტარაძე.

ვ. გოზალიშვილი,
ბ. ჩხაიძე.

წარმოება მთავარი ფრონტია

ზამთარი ქვემო ქართლსაც ესტუმრა. თოვლქვეშ ისვენებს და გახურებულ გულს ოგრილებს სიკეთის დედა, მიწა, რომელმაც შარშან ხვავითა და ბარაქით აავსო კოლმეურნეობათა ბეღლები, მშრომელთა კერები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ერთ სამეურნეო ერთეულად გაერთიანდა მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონები. ამიერიდან ეს ერთეული ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოდ იწოდება. 155 ათასი მცხოვრები, 58 კოლმეურნეობა და 16 საბჭოთა მეურნეობა, 191.300 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, — ასეთია საწარმოო სამმართველოს მასშტაბები.

...კონფერენციის დაწყების წინ დელეგატებს გულღია, საქმიანი საუბარი გაუმართავთ.

— ნამდვილად სწორი კურსია აღებული, — ამბობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცხობილი მეთამბაქოე მ. ბაგიროვი. — თუ საქმეს წმინდა სამეურნეო თვალსაზრისით შეხედავთ, ერთი კონკრეტული შტრიხიც საკმარისი იქნება იმის დასადასტურებლად, თუ რა სარგებლობას მოიტანს ეს გაერთიანება. ჩვენს მარნეულელ და ბოლნისელ მეგობრებს ძალიან უჭირდათ ზაფხულში პირუტყვის გამოკვება. ახლა მათ საშუალება ექნებათ გამოიყენონ დმანისს მდიდარი საზაფხულო საძოვრები.

— ჩვენ კი პირუტყვის შენახვა ზამთარში გვიჭირს, — ამბობს დმანისელი დელეგატი მ. ალიევი. — იმედია აქ ბოლნისელი და მარნეულელი მეგობრები აღმოგვიჩენენ დახმარებას.

— ახლა მანქანა-იარაღებით დახმარებაზე ვილაპარაკოთ, — საუბარში ერევა გომარეთის კოლმეურნეობის პატრონგანიზაციის მდივანი ვ. ჩალიძე.— შარშან რომ გაგვიჭირდა, ბოლნისელებმა გვათხოვეს დიდძალი ტრაქტორები. და გახა მარტო ეს? მშრომელები რაიონების გაერთიანების მიზანშეწონილებას ასაბუთებენ სხვა მრავალი ფაქტითაც.

დღის 12 საათზე დაიწყო პარტიული კონფერენცია, მოხსენება საკითხზე — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ — გააკეთა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ვ. სანიკიძემ.

მომხსენებელმა, აგრეთვე კამათში გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ შარშან კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიპოვეს პირველი სერიოზული წარმატებები, სახელმწიფოს მიჰყიდეს 7.236 ტონა უურძენი, 1.681 ტონა თამბაქო, 202 ტონა მატყლი. ეს ციფრები გაცილებით მეტია იმაზე, რასაც სახელმწიფო დაველოდა ითვალისწინებდა. წინა წლებთან შედარებით დიდად გაიზარდა აგრეთვე ხორცის, რძის, ხილის, ეთერზეთოვანი კულტურებისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

კონფერენციაზე აღინიშნა ყულარის, ალგეთის და ყაჩაღნის საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე სარაჭლოს, ფახრალოს, ჯავახის, ყიზილქილისა და სხვა კოლმეურნეობების კარგი მუშაობა. [illegible] ... ინსტიტუტებს მხედველობაში [illegible] ... ოთხეთის, ბოლოვანის, ლიბოსტროს, ლაქ

[illegible] ... ბოლნისის, ბაბანარეთის, ... [illegible] ... ბოლნისელ კოლმეურნეობა [illegible] ... მაყფოფლებელი მუშაობა. ისინი მკაცრად გააკრიტიკეს იმისათვის, რომ ვერ შეძლეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დაგალებათა შესრულება.

როგორც დელეგატებმა გ. . კარაევმა და ა. მანგრუსოვმა აღნიშნეს, ამ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის მიზეზები უნდა ვეძებოთ იმაში, რომ არ ახორციელებენ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, სუსტად იბრძვიან საკვები ბაზის განმტკიცებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პირუტყვის მოვლა-პატრონობას, ჯიშთა გაუმჯობესებას, ხელოვნურ დათესლას.

სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა-კითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები დელეგატებმა ა. ბასანოვმა და ვ. ჭალაძემ. მათ მოიყვანეს იმის მრავალი ფაქტი, რომ ბევრგან პარტიული ორგანიზაციები უგულებელყოფენ მოწინავეთა გამაცდელების დანერგვას, არ იზრუნავენ კომუნისტებს კოლმეურნეობათა წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად, სუსტად ებრძვიან უქნარებსა და შრომის თავისუმრიდებელს. მათ ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ ყველგან სათანადო სიმაღლეზე არა დგას კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ზოგან ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასოფლეურნეო დოვლათის დატაცების ფაქტებს. არაქელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ყოფილი თავმჯდომარის ა. ნავრუზოვისა და ბუხჰალტრის მ. ჯაფაროვის ხელისშეწყობით და უშუალო მონაწილეობით დატაცებულ იქნა 13.000 მანეთის ხორბალი.

კონფერენციის დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები და დასახეს საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის მოქმედების კონკრეტული ღონისძიება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კუჭავამ.

კონფერენციამ აირჩია ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი.

შედგა პარტიული კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია ვ. სანიკიძე, მოადგილეებად — თ. ბურნაძე და ბ. კალაევი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალი პარტიული კომიტეტები

თიანეთი. (საკ. კორ.). პარტიულ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი მ. გოჯოლაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღო 15 კაცმა.

კონფერენციამ აირჩია პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და სარევიზიო კომისია.

პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია **მ. გონჯილაშვილი**, მოადგილედ — **დ. ლომჯარია.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ს. ლორთქიფანიძე.**

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). აქ შედგა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია. მოხსენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ — გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე დ. სიბაშვილი.

მომხსენებელი და სიტყვებით გამოსული დელეგატები ლაპარაკობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების საქმეში, სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის კონკრეტულ ამოცანებზე.

კონფერენციამ აირჩია პარტიული კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

ახალარჩეულმა პლენუმმა პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია **დ. სიბაშვილი**, მოადგილეებად — **მ. ვადაჭკორია** და **თ. დოლიძე.**

ამბროლაური. 295 დელეგატი ესწრებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის პირველ კონფერენციას, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე მ. ბიბილაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღო 14 დელეგატმა.

კონფერენციამ აირჩია პარტიული კომიტეტი 67 წევრისა და 23 კანდიდატის შემადგენლობით.

შედგა ახალარჩეული პარტიული კომიტეტის პლენუმი. პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია **მ. ბიბილაშვილი**, მოადგილეებად — **ნ. შარაბიძე** და **ბ. გოგელიძე.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილემ ამხ. **ბ. ფალავანდიშვილმა.**

ქობულეთი. (საკ. კორ.). სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე მოხსენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგები და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე ი. ნოღაიდელი.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს მსუბუქი, კვების მრეწველობისა და ვაჭრობის განყოფილების გამგემ ამხ. **შ. ბეზარაშვილმა.**

არჩეულია პარტიული კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

პლენუმმა პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია **ი. ნოღაიდელი**, მოადგილეებად — **ნ. ბახტაძე** და **კ. დუმბაძე.**

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ **ჩეხოსლოვაკიის** სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი 10 იანვარს გაემგზავრა ოფიციალურ ვიზიტად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მეგობრულ ქვეყნებში. იგი ეწვევა ინდონეზიას, კამბოჯას, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბირმას.

☐ **რუმინეთისა** და კამბოჯის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა ხალხთა დონეზე.

☐ **საუდის** არაბეთმა მიიღო გადაწყვეტილება გაიყვანოს კუვეიტიდან თავისი ქვედანაყოფები, რომლებიც არიან იქ არაბეთის ქვეყნების ლიგის უშიშროების ჯარების შემადგენლობაში, იუწყება ჯარის რადიო. ლონდონელი მეთვალყურეები საუდის არაბეთის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას უკავშირებენ საუდის მეფის კარის მზარდ შეშფოთებას საუდის არაბეთის შიგნით დაძაბული მდგომარეობის გამო.

☐ **ბანგკოკის** დაახლოებით 10 ათასი მცხოვრები დარჩა უსახლკაროდ დიდი ხანძრის შედეგად, რომელიც გაჩნდა ტაილანდის დედაქალაქის ცენტრში 8 იანვარს ღამით. დაიწვა ათასზე მეტი შენობა, ზარალი განისაზღვრება 30 მილიონი ბატით.

გადადგა გენერალ რასელი

ლონდონი, 10 იანვარი. (საკდესი). ცნობილმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა და საზოგადო მოღვაწემ ლორდმა ბერტრან რასელმა დღეს განაცხადა, რომ გადადგა ატომური შეიარაღების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციის — „ასთა კომიტეტის“ პრეზიდენტის პოსტიდან.

წერილში „ასთა კომიტეტის“ მდივნისადმი რასელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას „წინანდებურად სწამს მასობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეა“ და მხარს დაუჭერს კომიტეტს. მაგრამ მან დასძინა, რომ „უაღრესად დაკავებულია ახლა მუშაობით, რომელიც რამდენადმე განსხვავდება იმ მუშაობისაგან, რასაც კომიტეტი ეწევა, თუმცა ისახავს იმავე მიზნებს“.

„მეტად საშიში გადაწყვეტილება“

პარიზი, 10 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამოთქვამს პროტესტს ტუნისის კომუნისტური პარტიის აკრძალვის წინააღმდეგ.

ეს მეტად საშიში გადაწყვეტილება, ნათქვამია, კერძოდ, განცხადებაში, ეწინააღმდეგება ტუნისელი ხალხის ინტერესებს. იგი მიმართულია იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელიც მამაცურად იბრძოდა ტუნისის დამოუკიდებლობისათვის და რომელიც იბრძვის ტუნისელი ხალხის ეროვნული ძალების გაერთიანებისათვის.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელიც აღშფოთებულია ამ ანტიდემოკრატიული ღონისძიებების გამო, ტუნისის მომძე კომუნისტურ პარტიას თავის სოლიდარობას უცხადებს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს მშრომელებს, საფრანგეთის ყველა დემოკრატს პროტესტი განაცხადონ ამ აკრძალვის წინააღმდეგ და მოითხოვონ მისი გაუქმება.



ვინ არის ყველაზე ძლიერი?

ნახ. ხ. ბიდსტრუპისა.

საჩუქარი რევანშისტებს

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის საზოგადოებრიობამ გულისწყრომით შეიტყო, რომ პრეზიდენტმა დე გოლმა საპყრობილიდან გაათავისუფლა ორი ომი ჰიტლერელი სამხედრო დამნაშავე, რომელთა ხელი გასვრილია ათეულ ათასობით ფრანგი პატრიოტის სისხლით.

„პარიზის ჯალათმა“ სს-ელთა გენერალმა ობერგმა და მისმა ხელქვეითმა ცნოჰენმა, რომლებსაც 1954 წლის ოქტომბერში პარიზის სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა, მშვიდად დატოვეს გასული წლის 28 ნოემბერს საფრანგეთის ქალაქ მიულუზის საპყრობილე და დასავლეთ გერმანიაში დაბრუნდნენ.

საფრანგეთის ხელისუფალნი თვენახევრის განმავლობაში უმალავდნენ საზოგადოებრიობას ე. გოლის გადაწყვეტილებას ჰიტლერელი სამხედრო დამნაშავეების განთავისუფლების შესახებ.

ბრძოლა ომის ... [illegible]

[illegible] ... ბრძოლის შედეგად, როცა ეს ბრძოლა ისახავს მიზანს, რომელსაც ძალუძს დარაზმოს ხალხთა მასების ყველაზე ფართო ფენები, მიზანს, რომელიც დიფერენციალურ [illegible] ... ბრძოლა მათ წინააღმდეგ? მოწინააღმდეგის, მისი ძალებისა და მის განზრახვათა სწორი შეფასება საფუძველია როგორც კარგი ტაქტიკისა, ისევე კარგი სტრატეგიისა. ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალიზმის საფუძვლებს არყევს წინააღმდეგობანი, რომლებიც გარკვეულ მომენტში დაუძლეველი ხდება. მაგრამ ეს წინააღმდეგობანი თავს იჩენს მხოლოდ იმ [illegible] ... ქვამი მოხსენებაში ყრილობისადმი. მაგრამ ჩვენ გამოვაქვეს დასკვნა, რომ საჭიროა (და არა მარტო შესაძლებელია) დიდ ... [illegible] ... ბრძოლის [illegible] ... ბრძოლა [illegible] ... ციას გამოიწვევს მოწინააღმდეგის რიგებში, გაადიდებს და გამოიყენებს ჩვენი წინსულისა და წარმატების მიღწევის მთელ შესაძლებლობებს. ახლანდელ პირობებში ასეთი მიზანია მისწრაფება თავიდან ავიცილოთ ომი მშვიდობიანი თანაარსებობის დამყარების გზით.

კონგოს ამბები

ლონდონი, 11 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების კოლონა 500-ზე მეტი კაცის შემადგენლობით გუშინ შეეიდა ჩრდილოეთ როდეზიის საზღვრის მახლობლად მდებარე მოკამბოში, ისე რომ არც ერთი გასროლა არ მომხდარა, იუწყება რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი.

„ეს გასეირნება იყო“, — განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შემადგენლობაში შემავალი ეთიოპელთა ბრიგადის მეთაურმა.

ცოტა ხნით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შესვლამდე, იუწყება კორესპონდენტი, ჩომბე თავის „მინისტრებთან“ თათბირის შემდეგ ელიზაბეტვილს გაემგზავრა. ჩომბეს „მარჯვენა ხელი“ „შინაგან საქმეთა მინისტრი“ შეხორნგო და კატანგის „მთავრობის“ სხვა წევრები აგრეთვე გაიხიზნენ ქალაქიდან რამდენიმე წუთით ადრე „ცისფერი კასკების“ გამოჩენამდე.

პარიზი, 10 იანვარი. (საკდესი). კონგოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბომბოკომ გუშინ პროტესტი განუცხადა ბელგიის ელჩს ლეოპოლდვილში დე კეროკვეს ბელგიის პოზიციის წინააღმდეგ კატანგის საკითხში — ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილში, რომელიც იმოწმებს კონგოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ცნობას.

ბელგიის ელჩს კონგოში განეცხადა: კატანგის მისიის ყოფნა ბრიუსელში, რასაც ბელგია „შეწუნარებით“ ეკიდება, აგრეთვე ბელგიის წარმომადგენლის ქცევა ელიზაბეტვილში მოწმდება, რომ სრულიად უგულებელყოფილია კონგოს სუვერენიტეტი და რომ „ასეთი ურთიერთობა ამბოხებულ პროვინციასთან ეწინააღმდეგება დიპლომატიურ ელემენტარულ ნორმებს“.

დინჯი, ამხანაგური განხილვის გზით

რომი, 10 იანვარი (საკდესი). დღეს გაზეთ „უნიტაში“ გამოქვეყნდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ალმირო ტოლიატის სტატია, რომელშიც იგი ეხება კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და უპასუხებს ალბანელ და სხვა დოგმატიკოსებს.

ჩვენმა ყრილობამ მშვიდობიანი თანაარსებობა შეაფასა როგორც ძირითადი ამოცანა სტრატეგიული ხასიათისა, წერს ტოლიატი. მაგრამ ჩვენ სავსებით ნათლად ვაცხადებთ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა სრულიადაც არ ნიშნავს სტატუს-კვოს, ესე იგი ახლანდელი ურთიერთობის კრისტალიზაციას მთელ მსოფლიოში. მშვიდობიანი თანაარსებობა საერთაშორისო ურთიერთობის ახალი სისტემაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყველა ხალხის დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ შეიძლება თავიდან ავიცილოთ და კიდევაც უნდა ავიცილოთ თავიდან ახალი მსოფლიო ომი, რომელიც აუცილებლად ატომური ომი იქნება, განაგრძობს ტოლიატი და აღნიშნავს, რომ ატომური იარაღი თავისთავად როდი მოისპობა. ისტორია, წერს ტოლიატი, მოგვიტანს ამ შედეგს იმდენად, რამდენადაც ჩვენ შეეძლებთ ვიბრძოლოთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მივმართოთ ცეცხლი მისი ყველაზე აგრესიული ელემენტების წინააღმდეგ. სულ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური ქვეყნები და განვავითაროთ ფართო სახალხო მოძრაობა მშვიდობისათვის, დავამყაროთ მშვიდობიანი თანაარსებობის რეჟიმი.

ტოლიატიმ აღნიშნა, რომ ატომურმა იარაღმა შეცვალა თვით ხასიათი ომისა და შეეხო რა ატომური ომის შესაძლო შედეგებს, დააყენა საკითხი: გამოგვაქვს თუ არა ყოველივე ამიდან დასკვნა, რომ აღარ შეიძლება იყოს სამართლიანი ომები? არავითარ შემთხვევაში, და ეს ნათლად არის ნათქვამი ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომ საჭიროა (და არა მარტო შესაძლებელია) დიდ ... [illegible] ... ეს ... [illegible] ... ეს ... [illegible] ... ეს

საბჭოთა თეატრის დედაბოძი

ხელოვნების მშვენება

ისტორიული გასაუბრების დროს 1897 წლის 22 ივნისს ორმა დიდმა ხელოვანმა კონსტანტინე სტანისლავსკიმ და ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკომ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შემოქმედებითი პრინციპები, შეიმუშავეს ახალი თეატრის შექმნის გეგმა.

1898 წელს კი დაიბადა მოსკოვის სამხატვრო თეატრი. ეს თარიღი დაუვიწყარი და მნიშვნელოვანია არა მარტო რუსული თეატრალური კულტურისათვის, არამედ მთელი კულტურული და პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობისათვის, ვინაიდან სამხატვრო თეატრის შემოქმედებითი პრინციპები გაიზიარეს სხვადასხვა ერის მოწინავე თეატრებმა.

სამხატვრო თეატრმა დაამკვიდრა სცენაზე დიდი ადამიანური სიმართლე. იგი იყო გამომხატველი რუსი ხალხის სულიერი ცხოვრებისა. ჩეხოვის „თოლია", რომლის სიმბოლური გამოსახულება სამუდამოდ დამკვიდრდა სამხატვრო თეატრის ფარგალზე, ახალი თეატრის დაბადების მაუწყებელი იყო.

„ჩეხოვმა ნათელყო რუსი ინტელიგენციის საუკეთესო და ძვირფასი ჰანგები. მოსკოვის სამხატვრო თეატრმა საუცხოოდ ჩამოაქანდაკა რუსის სული, მისი გულისცემა. ტირის, სევდით ევსება გული რუს მაყურებელს სამხატვრო თეატრში ჩეხოვის პიესების წარმოდგენისას. ეროვნული გრძნობით გაჟღენთილ აუდიტორიაში მსმენელი რუსი უნებლიეთ უსასხლტორცდება ჩეხოვის გმირებს, როგორც თავის ღვიძლ შვილებს და ტკბება ერთსულოვნებით.

სამხატვრო თეატრში ჩეხოვის უზენაესი ნიჭის მეოხებით მეფობს ჰარმონია მსმენელთა და გმირთა სულისკვეთებისა, ხოლო სამხატვრო თეატრმა პირველმა ჰპოვა ნამდვილი და გულწრფელი მოტივი რუსეთის ინტელიგენციის სულიერი დრამისა. სტანისლავსკიმ შემოსა ეს ნამდვილი რუსი სულური პრინციპი, მხატვრული ფორმებით და მით ჩეხოვის დრამები რუსეთის ინტელიგენციისათვის მისტერიად აქცია". ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ ქართველ რეჟისორს სანდრო ახმეტელს, რომელსაც სურდა, რომ ქართულ თეატრშიც ასეთივე ერთსულოვნება ყოფილიყო დამყარებული აუდიტორიასა და სცენას შორის.

თუ გორკიმდე სტანისლავსკის მიაჩნდა, რომ თეატრი იყო მასებზე ზნეობრივი ზემოქმედების საშუალება, გორკისთან შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად სტანისლავსკისათვის ნათელი გახდა თეატრალური ხელოვნების პოლიტიკურ-საზოგადოებრივი დანიშნულება.

სტანისლავსკის რევოლუციამდელი ნოვატორული მოღვაწეობა წარმოადგენდა დაუღალავ, შეუნელებელ ბრძოლას რეალისტური თეატრისათვის, ახალი ფორმებისა და შინაარსისათვის ხელოვნებაში, კეთილსინდისიერებისა და გულწრფელობისათვის მხატვრულ შემოქმედებაში. სამხატვრო თეატრმა დასაბამი მისცა ახალ ეტაპს რუსული რეჟისურის ისტორიაში. მისი პირველი სპექტაკლების თვალსაჩინო წარმატებას დიდად შეუწყო ხელი სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს რეჟისურამ, მათი დადგმების ნოვატორულმა ხერხებმა. სტანისლავსკი გაბედულად აყენებდა სასცენო ხელოვნების ძირეული გარდაქმნის ამოცანებს. წარსულის პროგრესული ტრადიციებისადმი ერთგულება ხელს არ უშლიდა სტანისლავსკის ხელოვნება ^ ყოფილიყო ჭეშმარიტად თანამეროვე და აქტუალური. ეს იყო სამაგალითო ნიმუში ტრადიციისა და ნოვატორობის ჰარმონიული შერწყმისა. სტანისლავსკი მთელი არსებით ებრძოდა ყოველგვარ სიყალბეს ხელოვნებაში. მას ვერ წარმოედგინა თეატრალური ხელოვნება, რომლისთვისაც დამახასიათებელი არ იქნებოდა მაღალი ideურობა, პროფესიონალიზმი და ანსამბლურობა. ჩეხოვისა და გორკის დრამატურგიაზე შეიქმნა არაერთი ღირსშესანიშნავი სპექტაკლი, რომელთაც განაპირობეს თეატრის შემოქმედებითი სახე. ბრწყინვალედ გამოიხატა რევოლუციის რომანტიკა ვს. ივანოვის „ჯავშნოსანი 14-69"-ში. განა შეიძლება დავიწყება ისეთი ბრწყინვალე სპექტაკლებისა, როგორც იყო ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება" ან ოსტროვსკის „მხურვალე გული". განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ნამდვილად რეჟისორული და აქტიორული ხელოვნების შედეგია. დღესაც წარმატებით მიდის სტანისლავსკის მიერ დადგმული მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი".

სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ბრწყინვალე რეჟისორი სტანისლავსკი ამავე დროს მაღალი კულტურისა და გემოვნების მსახიობი იყო. მან შექმნა მთელი გალერეა ოსტატურად გამოკვეთილი სცენური სახეებისა. ყოველი მათგანი გაუმეორებელი და ღრმაარსებრივია. სტანისლავსკის გააჩნდა გარდასახვის განსაკუთრებული უნარი.

სტანისლავსკი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იბრძოდა იმისათვის, რომ სცენაზე დაემკვიდრებინა ადამიანი, შეექმნა „ცოცხალი ადამიანის" თეატრი. მან „წარმოსახვის სამსახიობო სკოლას" დაუპირისპირა „განცდის სკოლა", რომელიც განცდის შემოქმედებითს პროცესს ემყარებოდა.

კ. სტანისლავსკის „სისტემამ" დიდი როლი შეასრულა საბჭოთა თეატრის ზრდისა და განვითარების საქმეში. ამ სისტემაზე აღიზარდა მრავალი საბჭოთა მოწინავე მსახიობი და რეჟისორი, შეიქმნა არა ერთი შესანიშნავი სპექტაკლი, რომელიც საბჭოთა თეატრის საგანძურში შეიყარა როგორც ღირსშესანიშნავი მოვლენა საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისა.

რევოლუციამდელი ქართული თეატრისა და საბჭოთა ქართული თეატრის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსკოვის სამხატვრო თეატრთან და მათ ხელმძღვანელებთან. ამ თეატრში შემოქმედებითად დავაქაცდა რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი — სამხატვრო თეატრის სტუდიის მეორე ხელმძღვანელი. ეს სტუდია მისი ინიციატივით დაარსდა. ამ სტუდიის პირველი სპექტაკლი „მწვანე ბეჭედი" მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა. ვ. მჭედლიშვილის მუშაობას საფუძვლად დაედო სტანისლავსკის „სისტემა". ვახტანგოვი და მჭედლიშვილი ამ „სისტემის" ნიჭიერი და აქტიური პროპაგანდისტები იყვნენ. მოსკოვის სამხატვრო თეატრში მუშაობის პირველი წლებიდანვე მჭედლიშვილი ცდილობდა საქართველოში დაენერგა სამხატვრო თეატრის სცენური პრინციპები. ამ მიზნით 1909 წელს რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავასთან ერთად მოსკოვში დააარსა ქართული დრამატული სტუდია.

სტანისლავსკი — ეს მთელი ეპოქაა თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში გასული საუკუნის დამლევიდან დღევანდლამდე. სტანისლავსკის ხელოვნება უწყვეტ კავშირში იყო ცხოვრებასთან, მისი შემოქმედების გზა — ეს არის გზა დაუღალავ ძიებისა.

სტანისლავსკის გარდაცვალებიდან მეოთხედი საუკუნე გავიდა. მაგრამ დრომ ვერ შეასუსტა მისი მოძღვრების გავლენა თანამედროვე ხელოვნებაზე. პირიქით, მისი თეატრალური იდეები ახლა საყოველთაო განძად იქცა.

ჩვენი ვალია შემოქმედებითად ავითვისოთ სტანისლავსკის „სისტემა", გადავარჩინოთ იგი გულგარეზატორებისაგან, რომლებიც ცდილობენ „სისტემა" აქცეონ დოგმად და სამუდამოდ ურყევ კანონად, რითაც აცლიან და უკარგავენ „სისტემას" იმ ძირითადსა და მთავარს, რითაც ის ძვირფასი და მნიშვნელოვანია საბჭოთა ხელოვნებისათვის. ბოლოდ ღრმა მეცნიერული შესწავლის, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან, სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან შესწავლილი და გამოყენებული სტანისლავსკის მდიდარი მემკვიდრეობა საშუალებას მოგვცემს ეუსასუხოთ ჩვენს თანადროულობას და იმ დიდ ამოცანებს, რომელთაც პარტია და ხალხი უსახავს ჩვენს საბჭოთა ხელოვნებას.

დიმიტრი ალექსიძე.

რ ო ც ა ჩემ მიერ განვლილ გზას, ხელოვნებაში ჩემს ცხოვრებას გავეცურეგ, მინდა თავი შევავადარო ოქროს მაძიებელს. ის ჯერ იძულებულია ოქროს მადნის ძებნაში დიდხანს იხეტიალოს ულრან ტყეში, შემდეგ კი ასეულ ფუთობით ქვა-ქვიშა რეცხოს, რათა კეთილშობილი ლითონის რამდენიმე მისხალი გამოარჩიოს. როგორც ოქროს მაძიებელმა, შთამომავლობას შეეძლება დავუტოვო არა ჩემი შრომა, არა ძიება და გაგრძელება, არა სიხარული და სასოწარკვეთილება, არამედ მხოლოდ ის ძვირფასი მადანი, რაც მე მოვიპოვე.

კ. სტანისლავსკი.

კ. სტანისლავსკი ამბობდა

როცა მოსკოვის სამხატვრო თეატრს ვქმნიდით, ჩვენ ვისახავდით არა მარტო მხატვრულ, არამედ საზოგადოებრივ ამოცანებსაც. მაშინ კარგად ვიცოდით და ახლა უკეთესად გვესმის, რომ არ შეიძლება იყოს დიდი ხელოვნება, თუ არ იქნება დიდი აზრი და დიდი მაყურებელი.

ო მ ე ბ ი უნდა შეწყდეს. მათ მაგივრად ხალხებმა ერთმანეთს უნდა გაუგზავნონ თავიანთი ლიტერატურები, თეატრალური დასები, სურათების გამოფენები, ორკესტრები, ანსამბლები, ყველა ხალხის თვითმოქმედი ხელოვნება, მეცნიერული გამოგონებანი და მეცნიერების აღმოჩენები, სპორტული კოლექტივები (ერთმანეთი გავაკვირვოთ გმირობით, რეკორდებით, მიღწევებით).

თეატრის აზრი რომ გასართობ სანახაობითობაში იყოს, მაშინ არც ელირებოდა ამდენი შრომის დახარჯვა მისთვის. მაგრამ თეატრი არის ცხოვრების ასახვის ხელოვნება.

მ თ ე ლ ი მსოფლიოს ხალხების მშრომელთა საერთო ძალებით უნდა შეექმნათ დიდი ადამიანური კულტურა, რომელიც საძულველსა და უსარგებლოს გახდის ომს და სამუდამოდ დაადუმებს ზარბაზნებს.

თქვენ და ნემიროვიჩ-დანჩენკომ შექმენით სანიმუშო თეატრი — რუსული მხატვრული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი. თქვენი თეატრის კეთილმყოფელი გავლენა ნათელია და მთელ მსოფლიოშია აღიარებული

მაქსიმ გორკი.

თქვენი დიდებული სახელი, ძვირფასო სტანისლავსკი, ჩემთვის არის სცენაზე ფსიქოლოგიური სიმართლის მასწავლებლის სახელი. როგორ მიწდოდა მოწმე გავმხდარიყავი თქვენი ერთ-ერთი ცხოველმყოფელი და ღრმა სცენიური ქმნილებისა!

რომენ როლანი.

აი ყველაზე მშვენიერი ადამიანი მთელ დედამიწაზე.

ბერნარდ შოუ.

ჩვენი დიდი მეგობარი

მაყარად ცოცხალი

მ შ ვ ი დ ო ბ ი ს მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მთელი კულტურული კაცობრობა აღნიშნავს გენიალური რუსი რეჟისორისა და თეატრალური ხელოვნების თეორეტიკოსის, გამოჩენილი მსახიობის კონსტანტინე სერგის-ძე სტანისლავსკის დაბადების 100 წლისთავს.

ისტორიულ გარდატეხათა ვითარებაში ჩამოყალიბდა კ. სტანისლავსკის პიროვნება და შემოქმედება. ამიტომ იგი ღრმად უკავშირდება როგორც ისტორიას, ისე თანამედროვეობას. მისი ნამოღვაწარის მნიშვნელობა შეაფასა დრომ, ზოგიერთი რამ უკუაგდო (ასევე მოიქცეოდა თვით კ. სტანისლავსკიც, საშუალება რომ ჰქონოდა დროის დისტანციიდან შეეხედა ყველაფრისათვის), მაგრამ დატოვა ^ ერითადი, შეუვალი და გარდაუსვლელი: თეატრალური ხელოვნების შექმნის კანონზომიერებანი სცენური სიმართლით აღსავსე შემოქმედების კონკრეტული, ნათელი გზები.

„მსახიობის შრომა მსუბუქი ჩანს", ამბობდა ხოლმე იგი, და მისი „ცხოვრება გვიჩვენებს, თუ რა კოლოსალური ენერგიის დახარჯვა, თავდადება, შეუპოვრობაა საჭირო ნამდვილი მსახიობისა და სპექტაკლის შესაქმნელად.

„ტალანტი უმაღლესი ჯილდოა, რომელსაც ბედი მოუვლენს ადამიანს. იგი უნდა განავითაროთ, გააღრმავო. გააკეთილშობილო... საუკუნეთა მანძილზე უწყვეტ ჯაჭვად მოეფინებიან დიდი ტალანტები, ჩვენი მასწავლებლები, და თუ მე რაღაც რგული მაინც ვარ ამ ჯაჭვში, მაშ უფლება მქონია ვეთხრა ახალგაზრდებს: ნუ კარგავთ დროს, ისწავლეთ ჩემგან, სანამ გვიან არ არის".

თეატრალურ ხელოვნებაში სტანისლავსკი მოვიდა როგორც მეამბოხე. მისი გემოვნება, კულტურა, იდეური მიზანსწრაფვა ვერ ეგუებოდა სცენაზე გამეფებულ რუტინას, ყალბ პათეტიკურობას, კონკრეტული შინაარსისაგან დაცლილ ზოგადობას და ცუდ რეციტატურას. მას არ აკმაყოფილებდა ძველი თეატრი, სადაც მსახიობები ადამიანურად კი არ ლაპარაკობდნენ, არამედ დეკლამაციით მეტყველებდნენ, სადაც ყოველი ჟესტი პირობითი იყო და ადამიანის მწუხარება თუ სიხარული, იდუმალება თუ მღელვარება, სულიერი დეპრესია თუ მხნეობა სხვადასხვა სპექტაკლში ერთნაირად იყო გამოხატული.

ჯერ კიდევ თავის ადრეულ სპექტაკლებში (რომლებიც სცენისმოყვარეთა ძალებით იმართებოდა „ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოებაში") მან რუსეთში პირველმა მიიტანა ევროპაში უსისტემო, ტრადიციული რეჟისურის წინააღმდეგ გეუცოვის „ურიელ აკოსტაში", ჰაუპტმანის „დაძირულ ზარში" მაყურებელმა იხილა ნამდვილი რეალისტური, დიდი გონებამახვილობით და ოსტატობით დამუშავებული მსაობრივი სცენები, თავიდან ბოლომდე ლოგიკურად გააზრებული მხატვრული სახეები, გამოკვეთილი მიზანსცენა, რომელიც არა მარტო უბრალო ასლასტიკური კომპოზიცია, არამედ განწყობილებებისა და აზრის ნათელი გამომხატველი იყო.

კ. სტანისლავსკის შემოქმედება არასოდეს არ ყოფილა შებოჭილი რაიმე წინასწარაკვიატებული ლიტერატურული ან თეატრალური მიმდინარეობებით. იგი ბუნებით, მოწოდებით რეალისტი იყო, დაჯილდოებული არაჩვეულებრივი ფანტაზიით. მოვლენების წვდომის გახსაკუთრებული ნიჭით (ამას ადასტურებენ მისი ელვარე თეატრალური ფორმებით დადგმული სპექტაკლები: მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი", ნ. გოგოლის „რევიზორი" და „მკვდარი სულები", ა. ოსტროვსკის „მხურვალე გული", ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება", მოლიერის „ტარტიუფი") და თეატრალური ფორმების ნათელი ხილვით.

თეატრში ამ დიდი მუშაობის პარალელურად იგი ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას (მისი ინიციატივით დაარსდა მრავალი თეატრალური და ლაპარაკობდა სტუდია) და თეორიულ მოღვაწეობას.

„რაშია სტანისლავსკის სისტემის არსი?" — კითხულობდა სამხატვრო თეატრის დიდი მსახიობი ლ. ლეონიდოვი, — რა სურს მას, რისკენ მიილტვის იგი?

მას სურს დიდი მხატვრული სიმართლე — ჰომეროსის, სოფოკლეს, შექსპირის, პუშკინის, გოგოლის სიმართლე. მას არ სურს, რომ სცენიდან ისმოდეს უხამსობა, რომ ბატონობდნენ შტამპები. მას სურს აამაღლოს, განუვითაროს მსახიობის გემოვნება, ასწავლოს შემოქმედებითი შრომა".

მთელი „სისტემა" განხილულ უნდა იქნას განვითარებაში, განუწყვეტელი „უარყოფის უარყოფის" დიალექტიკური კანონის მიხედვით. სპექტაკლების — ი. ტურგენევის „ერთი თვე სოფლად" და ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეშის" (სადაც უმთავრესი ^ ^ ^ დადგა მარტოოდენ ამ ^ ^ ^

კ. სტანისლავსკის საიუბილეო საღამო

დღეს, 12 იანვარს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შედგება დიდი რუსი რეჟისორისა და თეატრალური მოღვაწის **კონსტანტინე სერგის-ძე სტანისლავსკის** დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

ფულადი ჯილდო

ტყიბული. (საკ. კორ.). **მიწისქვეშა სანგრევებში მომუშავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები სულ 330 ათას მანეთს მიიღებენ ნამსახურობისათვის.**

ფულადი ჯილდო, რომელსაც სამთოელთა დიდი უმრავლესობა იღებს, რამდენჯერმე აღემატება მათს ძირითად თვიურ ხელფასს. მარტო დასავლეთის შახტში ფულადი ჯილდო დაერიცხა 500 მეშახტეს. კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. სოფრომაძემ, რომელიც მიწისქვეშა სანგრევებში 19 წელია მუშაობს, მიიღო 384 მანეთი, ნოვატორ მნგრეველს გ. მორდანოვს ერგო 341 მანეთი.

ვის მოვუსმენთ ღელს?

შარშანდელი წელიწადი, თუ შეიძლება ითქვას, მუსიკალურადაც უხვმოსავლიანი იყო. მრავალ შესანიშნავ მხატვრულ კოლექტივსა და შემსრულებელს მოვუსმინეთ, მრავალი სასიამოვნო კონცერტის მოწმენი გავხდით.

აბა გადავხედოთ, რას გვპირდება ახალი, 1963 წელი...

გამოჩენილი საბჭოთა პიანისტის **მარია იუდინას** ჩამოსვლა ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობაა. იუდინა არ ყოფილა თბილისში თითქმის ათი წელია. იგი ნამდვილად შესანიშნავი, ღრმად მოაზროვნე მუსიკოსია. ბრწყინვალედ იცნობს მსოფლიო საფორტეპიანო ლიტერატურას. იგი ბახის, ბეთჰოვენის უბადლო შემსრულებელია.

ახლა იუდინას ჩამოსვლა ორმაგად საინტერესოა ჩვენთვის. ჯერ ერთი, ასეთი დიდი დროის შემდეგ, როცა მან მსოფლიო სახელი მოიხვეჭა, და როგორც ამბობენ, ახლა კიდევ უფრო ოსტატურად უკრავსო. მეორეც, რაც მთავარია, ამჯერად იუდინა გვესტუმრება სულ ახალი, ორიგინალური პროგრამით.

ჩვენს მსმენელს გარკვეული წარმოდგენა აქვს ამერიკულ პიანისტურ სკოლაზე. რამდენიმე წლის წინათ გაეცანით ახალგაზრდა ვან კლიბერნის შთაგონებულ ხელოვნებას. ხოლო შარშან თბილისელები ბაირონ ჯანინსმა მოაჯადოვა. ბუნებრივია, დიდი ინტერესი სხვა ამერიკელი პიანისტებისადმიც. ჩვენთან ორი მათგანი ჩამოვა: **გრანტ იოჰანესენი** და **იუჯინ ლისტი.**

ცნობილი ამერიკელი პიანისტი **იუჯინ ლისტი** შარშან მოსკოვში იყო, როგორც ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი.

ერთგვარი „შესვენების“, შარშანდელი კონკურსის შემდეგ, **ელისო ვირსალაძე** კვლავ აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას იწყებს. გაიზარდა, გამდიდრდა მისი რეპერტუარი. ახლა იგი განსაზღვრული პროგრამით მოემგზავრება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

თბილისში გამოვა ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის მეორე ლაურეატიც, ვიოლონჩელისტი **ნატალია გუტმანი.** იგი კონკურსის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო. ჟიურიმ განსაკუთრებით აღნიშნა მისი ლირიკული ნიჭი და შესანიშნავი რბილი, ხავერდოვანი ბგერა.

გამოჩენილი საბჭოთა დირიჟორი **ალექსანდრე გაუკი** საქართველოს ძველი სტუმარი, და ქართული მუსიკის ძველი მეგობარია. ომის წლებში გაუკი თბილისში ცხოვრობდა, ჩვენთვის მრავალი უცნობი ნაწარმოები ააჟღერა. იგი ფაქიზი ინტერპრეტატორია ქართველი კომპოზიტორებისა.

რუმინელი დირიჟორი **მირჩა ბასარაბი** და კუბელი **ენრიკე გონსალეს მანტეჩი** კი პირველად გამოვლენ თბილისის ესტრადაზე.

ჩვენს მსმენელს ძლიერ უყვარს **მარინე იაშვილის** პოეტური ხელოვნება. ახლა მარინე მოსკოვის კონსერვატორიის პედაგოგია, საკუთარი კლასი აქვს, მრავალ კონცერტს მართავს უცხოეთში. გარდა სოლური გამოსვლებისა, უკრავს ადგილთვე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ტრიოში, რომელიც თბილისში ჩამოვა საინტერესო პროგრამით (ბეთჰოვენისა და მენდელსონის კონცერტები, ბოკერინის კონცერტი ჩელოსათვის).

ახალ დიდ პროგრამას ამზადებს ნიჭიერი ქართველი ვიოლონჩელისტი **ილარიონ ჭეიშვილი.**

ჩეხები განთქმული ინსტრუმენტალისტები და მაღალი კულტურის მუსიკოსები არიან. მევიოლინე **ალექსანდრე პლოციკი** ახლა ჩეხოსლოვაკიაში ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება. მალე იგი ჩვენს ქალაქს ესტუმრება.

თანამედროვეობის უდიდესი მუსიკოსების **დავით ოისტრახის** და **ლევ ობორინის** სახელები უმაღლესი სამმსრულებლო ოსტატობის სინონიმია. რაღა თქმა უნდა, მათი ჩამოსვლა დიდი მოვლენა იქნება ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში. ერთი ასეთი ამბავი: რამდენიმე თვის წინათ ისინი პარიზიდან დაბრუნდნენ. ფრანგულმა ფირმამ „შან დუ მონდმა“ მიიწვია ბეთჰოვენის 10 სონატის ჩასაწერად ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. ფირმის დირექტორი ჟან რუარი თვლის, რომ ეს ჩანაწერები „ყველაზე ბრწყინვალეა, რაც კი ახლა ჩვენს დროს არსებობს“. ადგილად წარმოსადგენია, რაოდენ მაღალ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს ჩვენს მსმენელს ოისტრახისა და ობორინის დუეტი.

დიდი ხანია აღარ გამოსულა ესტრადაზე **საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი** (ბ. ჭიაურელი, გ. ხატიაშვილი ა. ბეგალიშვილი, ბ. ბარნაბიშვილი). სწორედ ამიტომ ისინი განსაკუთრებულად ემზადებიან მორიგი კონცერტისათვის. ნებთ, რამდენიმე კონცერტით.

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში გერმანიის მუსიკალურ ცენტრში ლაიფციგში მუსიკის მოყვარულებმა დააარსეს ეგრეთწოდებული „გევანდჰაუსი“. ეს თავისებური მუსიკალური ორგანიზაცია მიზნად ისახავდა გერმანელ კომპოზიტორთა შემოქმედების პოპულარიზაციას. მე-19 საუკუნეში მას სათავეში მენდელსონი ჩაუდგა. აქ მოღვაწეობდნენ ლისტი, შუმანი, შოპენი, ბერლიოზი. აქ პირველად აღიერდა ბახის, ჰენდელის, ჰაიდნის, ბეთჰოვენის უდროოდ დავიწყებული ნაწარმოებები. „გევანდჰაუსს“ ახლა მრავალი შემოქმედებითი კოლექტივი ჰყავს. მისი სიმფონიური ორკესტრი თითქმის 200 წლისაა. ორკესტრის მთავარი დირიჟორი ფრანც კონვიჩნი რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან ჩამოვიდა გასტროლებზე. წელს კი ჩვენ გვესტუმრება ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივი — **„გევანდჰაუსის“ სიმებიანი კვარტეტი.**

რა კეთილშობილი გრძნობაა ურთიერთგაგება, ურთიერთის კულტურისათვის პატივისცემა და მოკრძალება! ზოგიერთი ფოტოსურათი სიტყვებზე ნათლად მეტყველებს ამ სახალხოდ სანუკვარ გრძნობაზე. ეი რუსი ხალხის დიდი კულტურის გამომხატველი გენიალური სტანისლავსკი სამხატვრო თეატრის დასთან ერთად ასულა მთაწმინდაზე, მათ ყვავილწნული გვირგვინით შეუმკიათ დიდი ილიას საფლავი. ისინი მოკრძალებით დგანან დიდი ქართველი მოჟანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი ძეგლის წინაშე. ეს იყო 1925 წელს. ყოველი ქართველი რუსი ხალხის დიდი ხელოვნების მოღვაწეებისადმი მადლიერების გრძნობით დახედავს ხალხთა მეგობრობის გრძნობის გამომსახველ ამ ფოტოსურათს.

საინტერესო ამბების სამყაროში

ორიოლი, 10 იანვარი. (საკდესი). საინტერესო რელიკვია შეიძინა ი. ს. ტურგენევის ლიტერატურულ-მემორიალურმა მუზეუმმა. ეს არის ფოტოპირი ფურცლისა, რომელზეც ტურგენევის ხელით ჩაწერილია „თეორებისა“ და „შავების“ პოზიცია საჭადრაკო პარტიაში, ბოლოს კი აღნიშნულია „სვლა შავებისა“.

ცნობილია, რომ ტურგენევი ჩინებული მოჭადრაკე იყო. მუზეუმში დაცულია საჭადრაკო მაგიდა, რომელზეც იგი ჭადრაკს ეთამაშებოდა ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის თავის სახლში სპასკ-ლუტოვინოში.

საინტერესოა აღმოჩენის ისტორია.

შარშან ზაფხულში მუზეუმს ეწვია ვორონეჟელი კოლექციონერი — მოჭადრაკე ი. ვ. ბუბნოვი. მან თქვა, 1925 წელს მცენსკში შევიძინე ფურცელი, რომელზეც ტურგენევს საკუთარი ხელით ჰქონდა ჩაწერილი საჭადრაკო პარტიაო.

— მაგრამ ახლა, — სინანულით შენიშნა ბუბნოვმა, — ეს ძვირფასი ფურცელი აღარ მაქვს. იგი დაიღუპა ჩემს ბიბლიოთეკასთან ერთად ვორონეჟში ფაშისტური ოკუპაციის დროს. მართალია, ერთადერთი ფოტოპირი ჯერ კიდევ ომამდე გავუგზავნე ჰოლანდიელ მოჭადრაკეს, დოქტორ ნიმაიერს. მისწერეთ მას.

და აი, ამას წინათ ჰოლანდიის პატარა ქალაქ ვასენაარიდან საპასუხო წერილი მოვიდა. დოქტორმა ნიმაიერმა თავგზიანად გამოგზავნა ფოტოპირი ფურცლისა, რომელზეც ტურგენევს ჩაუწერია საჭადრაკო პარტია.

ანონიმური წერილების დიდოსტატი

ფელეტონი

— **მოგსაპობ,** გავანადგურებ, წამოიძახა შოთა კუჭაშვილმა და მთელი ღამის ნაშრომს — საკუთარი ხელით დაწერილ განცხადებას გადახედა.

ვინ მოსთვლის რამდენი წერილი და სარჩივარი დაუწერია **შოთა პეტრეს-ძე კუჭაშვილს** საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა შესახებ. ავტორის მოკრძალებითა და თავმდაბლობით უნდა აიხსნას, რომ მშობლიური სოფლის შესახებ დაწერილ ტომებში ერთხელაც არ უხსენებია თავისი გვარი.

შოთა კუჭაშვილის სახახელოდ უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ის არ გაჰყოლია თავისი კოლეგების — ანონიმური წერილების დამსახურებულ ავტორთა მიერ გატკეპნილ გზას და მათ მსგავსად მრავალრიცხოვანი წერილების ბოლოში არ დაუსვამს გულამაჩუყებელი სიტყვები: „ცქვილისმსურველი“, „გულშემატკივარი“. მან თავის საქმიანობაში ცხოველთა მეფის, ლომის ავტორიტეტი გამოიყენა და ღვარძლით სავსე წერილებს შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ბოლოში პ. ლომიძეს აწერდა.

პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ ანონიმური წერილების ავტორთა „შემოქმედებას“ საფუძვლად უდევს გაბნეულება, შური და უსაქმურობა. ამ გზით იჭრება მათ გულში ღვარძლი, კარგავენ ადამიანურ სახეს და ცოფიანი ძაღლივით კბენენ ყველას. ვერ იტანენ სხვის წარმატებას, აღტაცებული არიან, როცა ვისმეს დაუმსახურებლად მძიმე სულიერ ტკივილებს აყენებენ. ყველა მათგანს ახასიათებს განდიდების მანია და ეჩვენებათ, რომ ისინი სათანადოდ არ არიან დაფასებულნი.

ქორეთელი დიდოსტატის შემოქმედების ისტორიაც ასევე დაიწყო. ღვარძლისა და შურისძიების პირველი ნაპერწკალი მაშინ ჩაისახა შოთა კუჭაშვილის გულში, როცა მას შეჰკადრეს და უთხრეს, ხეტიალს თავი დანებე და კოლმეურნეობაში იმუშავეო.

— მე თქვენ გიჩვენებთ, თუ როგორ უნდა ჩემისთანა ვაჟკაცის შეწუხება, — მუქარით თქვა შ. კუჭაშვილმა და დაუყოვნებლივ შეუდგა ანონიმური წერილების წერას. ამ ლაშქრობის დროს დონ-კიხოტივით მასაც დასჭირდა სანჩო პანსასებური მეგობარი და ისიც მალე აღმოაჩინა ქორეთში **თოთიკა ვლადიმერის-ძე ქამუშაძის** სახით.

შოთა და თოთიკა თანატოლები არიან, მაგრამ მათ წლოვანება კი არ აკავშირებდათ, არამედ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებზე განაწყენება. თოთიკა ქამუშაძე ერთ დროს ბრიგადირად მუშაობდა კოლმეურნეობაში, მაგრამ იფიქრა ფეხით სიარულს მანქანით სეირნობა სჯობსო და განიზრახა კოლმეურნეობაში მიღებული ავტომანქანის ძძღოლი გამხდარიყო. რადგან ეს არ მოხერხდა, განაწყენებულმა ბრიგადირობა მიატოვა და თავი დაანება მუშაობასაც. **1962 წელს** მას მხოლოდ **26** შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული, ხოლო ოჯახის წევრებს — ძმას ალექსანდრე ქამუშაძეს და რძალს მერი ქამუშაძეს ერთი დღეც არ უმუშავნიათ კოლმეურნეობაში.

არც შ. კუჭაშვილმა მიიჩნია საკადლებულოდ კოლმეურნეობაში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გამომუშავება. მან შრომადღეების საფუძველზე მრავალი ანონიმური წერილი გაგზავნა ზემდგომ ორგანოებში და ერთი წუთითაც არ გაუგდია ხელიდან საბრძოლო იარაღი — ავტომატური კალმისტარი. შ. კუჭაშვილისათვის საკმარისი იყო თოთიკა ქამუშაძის მიერ მოტანილი ყურმოკრული ამბის ერთი ფრაზა, ერთი სიტყვა, შემდეგ კი საკუთარი ზღვა ფანტაზიით ქმნიდა ზღვასავით ვრცელ „ნაწარმოებს“. როგორც ჩანს, ავტორი დიდ უყრადღებას აქცევდა ანონიმური წერილების რაოდენობასა და მოცულობას. ამიტომ არის, რომ ზოგიერთ წერილს მთელი სასკოლო რვეული უჭირავს და მომჭირნე ავტორის მიერ ყდის ფართობიც სრულად არის გამოყენებული.

მცირედი ღვაწლი ქმრის „საქმიანობაში“ შოთა კუჭაშვილის მეორე ნახევარს — თინა კუჭაშვილსაც მიუძღვის. შრომის განაწილების საფუძველზე. როგორც ჩანს, მის მოვალეობას დაწერილი ანონიმური წერილების კონვერტებში ჩაწყობა და გარედან მისამართის დაწერა შეადგენდა.

გასული წლის ივლის-აგვისტოში სხვადასხვა ორგანიზაციაში მოწოდავდა უსახელო წერილები იმ დროისათვის ჯერ კიდევ უცნობი პ. ლომიძის ხელისმოწერით. ავტორი წერდა ქორეთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ქორეთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები — კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე მ. შუკაკიძე, პარტბიუროს მდივანი, იგივე საწყობის გამგე მ. კუპატაძე და ბუღალტერი ა. დოლიძე იტაცებენ საკოლმეურნეო ქონებას. მათ მოიპარეს და გაყიდეს სამი ტონა სიმინდი, 1,5 ტონა ლობიო, 5 ტონა ხახვი“.

ვინ იცის, რამდენი დღე და საათი დახარჯა ამ გესლით სავსე ანონიმური წერილების შემოწმებას, რამდენმა მუშაკმა დაკარგა ძვირფასი სამუშაო დრო, რამდენი ქაღალდი დაიხარჯა უმიზნოდ და უნაყოფოდ. შემოწმების შედეგად არ დადასტურდა არც ერთი ფაქტი, რომლის შესახებაც ისეთი მგზნებარებით წერდა ავტორი, რომ მკითხველს ყურუანტელი დაუვლიდა ტანში.

პირველმა მარცხმა გული ვერ გაუტეხა შ. კუჭაშვილს. მართალია, მისი წერილების შედეგად არავინ მოუხსნიათ, მაგრამ ისიც უდიდეს სიამოვნებას გვრიდა, რომ შესძრა მთელი რაიონი და უდანაშაულო ადამიანებს უძილო ღამეები გაატარებინა განმარტებითი ბარათების წერაში. უხაროდა, რომ მისმა პატარა კალამმა ამდენი ხალხი აამოძრავა, თვითონ კი გვერდზე იდგა და ჩუმათ ხითხითებდა. ამაში ხედავდა ის ანონიმური წერილების ავტორთა მთელ იდეალს, შემოქმედებით სიამოვნებას.

შემოწმების პირველი სერია რომ დამთავრდა, კვლავ წამოვიდა ცილისმწამებლური წერილების ნიაღვარი. იგივე შინაარსი, იგივე ბრალდებები და იგივე ავტორი — პ. ლომიძე.

ახალი გამორკვევის დროს ყველა გზები განაწყენებული უსაქმურების შ. კუჭაშვილისა და თ. ქამუშაძისაკენ მიდიოდა და ამიტომაც მოსთხოვეს მათ განმარტება. უნდა ითქვას, რომ შ. კუჭაშვილმა ამ შემთხვევაშიც გამოიჩინა ანონიმური წერილების გამობრძმედილ ავტორთა ყველა თვისება. უსირცხვილოდ უარყო თავისი „შემოქმედება“ და ოფიციალურად დასწერა (სტილი დაცულია): „ბოგახსენებთ, რომ სოფ. ქორეთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებისადმი დაწერილი უსახელო განცხადებები და საჩივრები ვინ მიერ არის ნაკარნახევი ან დაწერილი არაფერი არ ვიცი. მხოლოდ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები ცილისმწამებლურია და არ შეეფერება სინამდვილეს.

თუ ჩემს მიმართ ერთი კაცი მაინც დაადასტურებს მას, რომ მე რომელიმე განცხადების დაწერაში მაქვს მონაწილეობა მიღებული, ესეც რა თქმა უნდა იქნება ცილისმწამებლური, და პასუხს ვაგებ თქვენს წინაშე ჩემი პარტიულობით. შემდგომ ამისა განხილულ იქნეს ჩემი საკითხი ქორეთის მშრომელთა შორის ჩემი ამ სოფლიდან გასახლების შესახებ“.

აღნიშნული განმარტების დაწერიდან სრული ათი დღის შემდეგ, **1962** წლის **23** აგვისტოს, უტყუარი ფაქტების შედეგად მხილებულმა ქორეთელმა „რაინდმა“ თავი დამნაშავედ ცნო და ოფიციალურად დაწერა: „მიმდინარე წლის ივლისში კოლმეურნეობის თავმჯდომარის პირადი განაწყენების ნიადაგზე დავწერე განცხადება. განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც სინამდვილეს არ შეეფერებინან, დამაწერია ნაწილობრივ თ. ქამუშაძემ“.

ასე დასრულდა ქორეთელი უსახელო წერილების ავტორთა უსახელო ისტორია. ანონიმური წერილების დიდოსტატს ნიღაბი ჩამოგლიჯეს. ქორეთის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ, საქართველოს კპ საჩხერის რაიკომმა და საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაარჩიეს მათი საკითხი. შოთა კუჭაშვილი გაირიცხა კომუნისტური პარტიის რიგებიდან, ხოლო თოთიკა ქამუშაძეს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

ახლა ერთი რამ არის საკითხავი: რა საფუძველზე არიან შ. კუჭაშვილი და მისი მეაბჯრენი კოლმეურნეობის წევრები? ასეთი უსაქმური და ხელისშემშლელი ადამიანები რატომ სარგებლობენ მშრომელ კოლმეურნეთა თანაბრად კოლმეურნის ყველა უფლებითო?

აკი კუჭაშვილმა თვითონვე დაწერა: თუ ამ ცილისმწამებლური წერილების ავტორი მე აღმოვჩნდები, ღირსი ვარ სოფლიდან გამასახლოთო. იქნებ დაკამაყოფილონ მისი თხოვნა, თორემ ვაი თუ მერე ამის გამოც დაიწეროს ანონიმური წერილი.

ნ. შველიძე.

რატომ არის თბილი ზამთარი?

რედაქცია იღებს მკითხველთა შეკითხვებს, თუ რა მიზეზით არის გამოწვეული თბილი ზამთარი ჩვენს დედაქალაქში და როგორი ამინდებია მოსალოდნელი ამ თვეში.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. მ. ხუფუნიას. მან აღნიშნა:

— თბილ და ცივ ზამთარს პერიოდულად იწვევს ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაცია. თუ სჭარბობს ჩრდილოეთის რაიონებიდან სამხრეთისაკენ ჰაერის ცივი მასების შემოჭრა, გვაქვს შესაბამისად ცივი ამინდები. წელს კი ჰაერის მასები ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანიდან სამხრეთისაკენ შედარებით იშვიათად მოდიან, და თუ მოდიან, ჩვენამდე ვერ აღწევენ. ისინი აღწევენ კავკასიონის მთების ჩრდილოეთ კალთებამდე, სამხრეთისაკენ კი უკვე სახეშეცვლილი გადმოდიან.

ამ ზამთრის პერიოდში საქართველოში გაბატონებულია სამხრეთიდან ან სამხრეთდასავლეთიდან შემოჭრილი თბილი ჰაერის მასები, რამაც თბილი ზამთარი გამოიწვია.

ნალექების მიხედვით დღეისათვის ასეთი მდგომარეობაა: თოვლი იყო აბასთუმანში, ბაკურიანში, ახალციხეში, წიფაში, ახალქალაქში, თეთრ წყაროში, მანგლისში, ზედა ყაზბეგში, ცივ გომბორის მთებზე, ლებარდეში, ხულოში და სხვ., მეტწილად მთიან რაიონებში.

ახლა თოვლი არის მესტიაში — 37 სანტიმეტრი. ახალქალაქში, ბაკურიანში, თოვლის შედარებით მცირე საბურველია.

თბილი ზამთარი ჩვენს რესპუბლიკაში იშვიათი არ არის. აბა გავიხსენოთ შარშანდელი ამინდები იანვარში, მაშინაც თბილი და მშრალი ამინდები იდგა.

წლევანდელზე მშრალი ზამთარი თბილისში ხშირად ყოფილა. განსაკუთრებით გამორჩეული ასეთი ზამთარი ყოფილა: 1913 წელი, 1866 და 1917 წლები. ხოლო თუ ეფრო ახლო პერიოდის იანვრის თვის სინოპტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, უკანასკნელ ათწლეულში უმეტესად თბილი ამინდები გვქონდა. ასე რომ თბილი ამინდები პერიოდულად ხშირად გვქონდა თბილისში.

საერთოდ კი ევროპის ტერიტორიის ცენტრალურ რაიონებში უკვე მეშვიდე წელია, რაც თბილი ზამთარი აღინიშნება.

რაც შეეხება ამინდებს, ვვარაუდობთ, რომ იანვარში რაიმე მკვეთრი ცვლილებები არ იქნება.

მოკლედ...

□ **ჟ. ქუთაისში** ლენინის პროსპექტზე ახალგაგებული საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში გაიხსნა კავშირგაბმულობის სააგენტო, შემნახველი სალარო და დიდი სასურსათო მაღაზია.

ნ. ადეიშვილი.

□ **ზედაზენის** ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა ახალი საუფლარი მიიღეს — გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი მუშათა კლუბი, რომელიც 450 კაცს იტევს.

გ. ალშიბაია.

სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ავტომატური რეგულირების ლაბორატორიაში ინჟინერი ჟუჟუნა ცქიტიშვილი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი მარინე შნეიდერი აწყობენ უნივერსალური ელექტრონული გამოსათვლელი მანქანის ელემენტებს.

ფოტო ე. თევდორაძისა.

ლიდერის პირველი ყაიმი

ჰოლანდიის ქალაქ ბევერვიკში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში.

სტარტზე წარმატებას მიაღწია იუგოსლავიის წარმომადგენელმა მატანოვიჩმა. მან სატურნირო ცხრილში ზედიზედ ორი ქულა ჩაიწერა. ამიტომ მესამე ტურში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მატანოვიჩისა და საბჭოთა გროსმაისტერ ბრონშტეინის შეხვედრა.

დებიუტიდან მეტოქეებმა დაახლოებით თანაბარი პოზიცია მიიღეს. არც ბრძოლის შემდგომ ეტაპზე მომხდარა პარტიის გამწვავება და იგი ყაიმით დამთავრდა.

მეორე საბჭოთა გროსმაისტერს ი. ავერბახს პარტია ჰქონდა მილიჩთან. ბრძოლა არ დამთავრებულა.

სამი ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა მატანოვიჩი, რომელსაც 2,5 ქულა აქვს.

ოკუპაციის ქრონიკა

ყაზბურთელთა სეზონი

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა. სხდომაზე შეჯამებულ იქნა სეზონის შედეგები და დამტკიცეს ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის თექვსმეტი კანდიდატი.

ესენი. არიან მეკარეები — ანატოლი შუბერტი (მოსკოვის „დინამო“), ლერი გოგოლაძე (თბილისის „დინამო“), ვადიმ გულაევი (მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი) და ვლადიმერ კლიმენკო (მოსკოვის „დინამო“), მცველები — ბორის გრიშინი, ვლადიმერ იურინენკო (ორივე — მოსკოვის „დინამო“), ვიქტორ აგეევი (მოსკოვის „ტორპედო“), გივი ჩიქვანაია (თბილისის „დინამო“), ნახევარმცველები — ანატოლი კარტაშევი, ვლადიმერ ნოვიკოვი (ორივე — მოსკოვის „დინამო“), ალექსანდრე შოდლოვსკი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური წყალსაჯოძარადო კლუბი), ვალერი პუშკარევი (ლენინგრადის „ბალტიკა“), თავდასმხმელები — პეტრე მშვენიერაძე (მოსკოვის „დინამო“), ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ მიმინოშვილი (ორივე — თბილისის „დინამო“), ზინონ ბარტკევიჩი (კასპის წითელდროშოვანი ფლოტილია, ბაქო).

წარსული წლებისაგან განსხვავებით ნაკრები გუნდის კანდიდატები ძირითად მომზადებას თავიანთ საკლუბო გუნდებში გავლიან.

შემდეგ ჩვენი საუკეთესო ოსტატები თავიანთ ძალებს მოსინჯავენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე.

ახალ სეზონში საკმაოდ იქნება საერთაშორისო შეჯიბრებებიც. უეჭველია, მთგან ყველაზე საინტერესოა „აღორძინების თასზე“ ტურნირი იუგოსლავიაში. ამ ტურნირში მონაწილეობაზე წინასწარი თანხმობა განაცხადეს ევროპის და არსებითად მსოფლიოს საუკეთესო წყალბურთელთა გუნდებმა — სსრ კავშირის, ჰოლანდიის, რუმინეთის, იტალიის, უნგრეთის გუნდებმა.

გაიმართება აგრეთვე შეხვედრები ძველ მეტოქე მეგობრებთან უნგრეთიდან და რუმინეთიდან. საპასუხო ვიზიტით სსრ კავშირში ჩამოვლენ ჰოლანდიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წყალბურთელები.

წლის დამლევს ევროპაში ჩამოსვლას აპირებს ამერიკის შეერთებული შტატების წყალბურთელთა გუნდი.

რამდენიმე სტრიქონით

□ **იუნიორთა** ტურნირი ფეხბურთში ერთ-ერთი ტრადიციული ასპარეზობა გახდა. მორიგი ასეთი გათამაშება მოეწყობა ინგლისში 27 გუნდის მონაწილეობით. იგი შეტანილია ინგლისის ფეხბურთის 100 წლისთავის აღსანიშნავ ასპარეზობათა პროგრამაში. ამ შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის გუნდი.

□ **წელს** ევროპის თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში ვაჟთა შორის გაიმართება ბელგრადში. მასში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს 19 ქვეყნის წარმომადგენლებმა. თვითეული ქვეყნიდან თასის გათამაშებაში დაშვებული იქნება ორი სპორტსმენი.

ერთ თვეს მიმდინარეობდა ვლადივოსტოკში გამოუსწორებელ მექრთამეთა

ერთ თვეს მიმდინარეობდა ვლადივოსტოკში გამოუსწორებელ მექრთამეთა და ქრთამის მიმცემთა სასამართლო პროცესი. მთავარი დამნაშავეები არიან ვლადივოსტოკის ქალაქის საბინაო სამმართველოს ყოფილი უფროსი გ. დ. სავინსკი და მისი თანამშრახველი № 5 ატელიეს ყოფილი მუშაკი ვ. პ. კოვალიოვა. საბრალდებელო სკამზე ზის კიდევ 34 კაცი, რომლებსაც დაუკარგავთ პატიოსნება და სინდისი, არაფრად მიჩნიათ საბჭოთა კანონი.

სავინსკი იყენებდა სამსახურებრივ ძდგომარეობას ანგარების მიზნით. დიდხანს ეწეოდა მექრთამეობას, ფულს ართმევდა მოქალაქეებს, როცა ბინის ორდერებს აძლევდა. სავინსკი მოქმედებდა ვ. პ. კოვალიოვას ხელშეწყობით, მისი საშუალებით იღებდა განურჩევლად ყველაფერს — ფულს, ხალიჩებს, მოდურ საზღვარგარეთულ ჭინჭებს ან საჩუქრად იღებდა სპირტის კანისტრს. ვ. პ. კოვალიოვასთან ერთად სავინსკის თანამზრახველები იყვნენ ვლადივოსტოკის ლენინის რაიაღმასკომის საბინაო სამმართველოს ყოფილი უფროსი პ. თ. ივანოვი და მისი მოადგილე ა. ი. ჩეპრასოვა. ისინი ქრთამის მისაღებად მოქალაქეებს ეხმარებოდნენ ბინების გადაცვლაში, თვითნებურად ცვლიდნენ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგს. მათ ეხმარებოდნენ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ყოფილი უფროსი, ერთხელ უკვე ნასამართლები ა. ა. იურიევი, სახლმმართველები ნ. მ. სილინჩუკი და ვ. ი. ვალაატისი, ტრამვაის პარკის მუშა ზ. პ. პროცენკო. სისტემატურად იღებდა ქრთამებს ქალაქის საბინაო სამმართველოს ყოფილი ინსპექტორი რ. მ. შაშანსკაია.

მექრთამეებს გამოუტანეს განაჩენი: თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა გ. დ. სავინსკის, თერთმეტი წლით — ვ. პ. კოვალიოვას, რვა წლით მოაშორეს საზოგადოებას ა. ი. ჩეპრასოვა. ექვსი წლით — პ. თ. ივანოვი. ყველას ჩამოერთმევა ქონება. იმ პირებს, ვინც დაკავშირებული იყვნენ სავინსკისთან და კოვალიოვასთან, მიესაჯათ პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

ბინების ორდერები, რომლებიც ქრთამის მეოხებით მიიღეს მოქალაქეებმა, გაუქმდა.

ზღვისპირეთის ქალაქის მცხოვრებნი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ამ სამართლიან განაჩენს.

ნ. გლუშჩენკო,
(საკდესის კორ.).

ქალაქი ვლადივოსტოკი. 9 იანვარი.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

12 იანვარი

რუსთაველის სახელობის — ბახტრიონი (21-ე ამონ.' 1-ლი სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — რომეო და ჯულიეტა (მე-17 ამონ. 1-ლი სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ორნი საქანელაზე (მე-12 ამონ. მე-4 სპექტაკლი), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მეკარე, **სანკულტურის** — მე მჯერა შენი, **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა — „გაბედულთა კარნავალი“.

ტელევიზია

12 იანვარი

18.00 — ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის „ვისი რაზმია უკეთესი“, 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — კ. სტანისლავსკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო